NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

*დანართი №4*

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი

# უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამასთან დაკავშირებით საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშის შესახებ დასკვნა

მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა)

საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი

19.09.2022

## დასკვნის მომზადების მიზანი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველყოფისთვის, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით გათვალისწინებული რეკომენდაციების ან/და რჩევების საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ შესრულების შეფასება.

## ანგარიშის შეფასების პრინციპები

წარმოდგენილი ანგარიში უნდა შეფასდეს შემდეგი პრინციპების დაცვით

- ანგარიშის შევსების სისწორისა და თანდართული დოკუმენტაციის შესაბამისობის შეფასება
- აკრედიტაციის პროცესის შედეგად აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში ასახული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას გამოკვეთილი და შესრულებული რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესწავლა
- საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის შესრულებისთვის შერჩეული მეთოდების/მიდგომებისა და შედეგების შეფასება
- რეკომენდაცი(ებ)ისა ან/და რჩევ(ებ)ის შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეფასება
- ანგარიშის შესწავლის შედეგების ფორმირება

## ექსპერტი

**სახელი:** მიხეილ

**გვარი:** გიორგაძე

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 205233022 |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | | |
|---|---|---|
| 1 | საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება[1] | მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) |
| 2 | უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| 3 | კვალიფიკაციის დონე[2] | მე -7 |
| 4 | კვალიფიკაციის დასახელება | განათლების მაგისტრი (საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში) |

---

[1] დასახელება შინაარსობრივად შეესაბამება დეტალურ სწავლის სფეროს
[2] ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით

| | | |
|---|---|---|
| 5 | ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითებით[3] | საბაზო და საშუალო საფეხურის მასწავლებელი ისტორიაში, გეოგრაფიასა და მოქალაქეობაში |
| 6 | დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013)[4] | 0114 მასწავლებლის მომზადება საგნობრივი სპეციალიზაციით |
| 7 | სწავლების ენა | ქართული |
| 8 | ECTS კრედიტების რაოდენობა | 300 |
| 9 | განხორციელების ადგილი[5] | საქართველო, 0179 , ქ. თბილისი, ილია ჭავჭავაძის გამზირი, 53 ა. |
| 10 | საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსი-აკრედიტაცია შესაბამისი საბჭოს ბოლო გადაწყვეტილების თარიღი და ნომერი | აკრედიტებული 2021 წლის 3 აგვისტო, გადაწყვეტილება # 765577 |
| 11 | გადაწყვეტილების ძალაში შესვლის თარიღი | 2021 წლის 20 ივლისი |
| 12 | საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის წარმოსადგენად განსაზღვრული ვადა, თარიღი | 2022 წლის 20 ივლისი |
| 13 | აკრედიტაციის ვადის გასვლის თარიღი | 01/07/2025 |

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში
[4] განათლების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორი ((ISCED – F – 2013)
[5] ქვეყანა, საფოსტო ინდექსი, ქალაქი/მუნიციპალიტეტი, ქუჩა, ქუჩის ნომერი

## საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შეფასება საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების მიხედვით

| სტანდარტები | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | x | | | |
| 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა | | x | | |
| 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა | x | | | |
| 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა | x | | | |
| 5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები | x | | | |

### შესასრულებელი რეკომენდაცი(ებ)ი[6]

1. პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პროგრამის ყველა მიზანი. კონკრეტულად, დაფიქსირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგი;
2. დაზუსტდეს სწავლის შედეგების ფორმულირება პროგრამის მიზნების შესაბამისად; პროგრამის სტრუქტურა დასახვეწია:

[6] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების რაოდენობის გათვალისწინებით

3. პროგრამის სტრუქტურა დასახვეწია: სავალდებულო საგნების ცხრილი დასაყოფია მოდულების და სემესტრების (გაზაფხული/შემოდგომა) მიხედვით; ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული სასწავლო კურსის კრედიტმოცულობის შესაბამისი საათობრივი მონაცემების განაწილება დამოუკიდებელ და საუდიტორიო წილების შესაბამისად; წინაპირობებისა და საგნების დასახელების ველები გადასანაცვლებელია;
4. რეკომენდირებულია ინგლისური ენის სწავლება დაიწყოს B 1 დონით, რათა სტუდენტებს მიეცეს შესაძლებლობა ბოლო ეტაპზე გაიარონ დარგობრივი ინგლისური ენა, რაც უფრო რელევანტურია ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისთვის;
5. ცალკეული სასწავლო კურსები საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას: შუა საუკუნეების ისტორია – სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატოს ბოლო პერიოდში გამოსული შესაბამისი ლიტერატურა, კერძოდ, „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)“ (რედ. მ. პაპაშვილი);
6. დაკორექტირდეს ინგლისური ენის სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები;
7. დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები სტანდარტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად და გაიწეროს აქტიური ზმნების გამოყენებით;
8. რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა;
9. დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამის წარსადგენი დოკუმენტების (პროგრამის სასწავლო გეგმის, სილაბუსი) ფორმალური მხარე (მათში გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი რუბრიკა) და პორტფოლიო

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რეკომენდაციების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[7]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 3 აგვისტოს (# 765577) გადაწყვეტილებით ა(ა)იპ საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული

[7] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას (ისტორია-გეოგრაფია-მოქალაქეობა) აკრედიტაცია მიენიჭა 4 წლით, 1 წელში ანგარიშის წარმოდგენის ვალდებულებით.

დაწესებულებამ პროგრამისთვის განსაზღვრული რეკომენდაციების შესრულების ანგარიში წარმოადგინა აკრედიტაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული ვადების დაცვით.

როგორც საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულების ანგარიშშია აღწერილი, დაწესებულების ხარისხის მართვისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის, პროგრამის ხელმძღვანელის კოორდინირებით დაიგეგმა და განხორციელდა რეკომენდაციების შესრულების შესაბამისი სამუშაო.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში დეტალურად აღწერს რეკომენდაციის შესრულებისათვის განხორციელებულ ცვლილებებს. ანგარიშს თან ახლავს მტკიცებულებები, რომელიც განხორციელებული ცვლილებების ანალიზის შესაძლებლობას იძლევა.

## რჩევ(ებ)ი[8]

## საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშისა და რჩევების გათვალისწინების შესახებ ინფორმაცია[9]

## დამატებითი ინფორმაცია[10]

---

[8] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით (რჩევების გათვალისწინება არ არის სავალდებულო)

[9] საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანგარიშის წარმოდგენის თარიღი, საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული ანგარიშის წარმოდგენის ვადა, რეკომენდაციების ან/და რჩევების გათვალისწინების პროცესში ჩართული პირების, შერჩეული მეთოდების/მიდგომების აღწერა და საბოლოოდ მიღწეული შედეგები, საჭიროებისამებრ, დამატებით სხვა ინფორმაცია.

[10] საგანმანათლებლო დაწესებულების გადაწყვეტილებით, საჭიროების შემთხვევაში

## რეკომენდაცი(ებ)ის ან/და რჩევ(ებ)ის გათვალისწინების შესახებ[11]

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[12] | **სტანდარტი 1.** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება[13] | **1.2. პროგრამის სწავლის შედეგები** |
| რეკომენდაცია I[14] | პროგრამის სწავლის შედეგებში აისახოს პროგრამის ყველა მიზანი. კონკრეტულად, დაფიქსირდეს პროგრამის სწავლის შედეგებში პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შედეგი |
| შეფასება | დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია.<br>პროგრამის სწავლის შედეგები სრულად ფარავს პროგრამის მიზნებს. სწავლის შედეგები ასახავს პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის შესაბამის კომპეტენციებს.<br>სასურველია პროგრამის დანართებს დაემატოს პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობის რუკა. |
| რჩევა[15] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • საგანამანათლებლო პროგრამა;<br>• საგანმანათლებლო პროგრამის დანართები (სწავლის შედეგების რუკა);<br>• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[16] | **სტანდარტი 1.** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება[17] | **1.2. პროგრამის სწავლის შედეგები** |

[11] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული რეკომენდაციების ან/და რჩევების რაოდენობის გათვალისწინებით
[12] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[13] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[14] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[15] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[16] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[17] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

| | |
|---|---|
| რეკომენდაცია I[18] | დაზუსტდეს სწავლის შედეგების ფორმულირება პროგრამის მიზნების შესაბამისად |
| შეფასება | დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია.<br>პროგრამის სამუშაო ჯგუფმა გადახედა პროგრამის სწავლის შედეგებს და განახორციელა მისი სრული მოდიფიცირება. მოდიფიცირების შედეგად პროგრამის სწავლის შედეგები სრულად შესაბამისობაში მოვიდა პროგრამის მიზნებთან. გარდა ამისა, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა უზრუნველყო სწავლის შედეგების მასწავლებლის განათლების უმაღლესი განათლების დარგობრივ მახსიათებელთან. პროგრამის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია აღნიშნულ დარგობრივ მახასიათებელთან. |
| რჩევა[19] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • საგანამანათლებლო პროგრამა;<br>• სასწავლო კურსის სილაბუსი;<br>• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[20] | **სტანდარტი 1.** საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა |
| კომპონენტის დასახელება[21] | **1.2. პროგრამის სწავლის შედეგები** |
| რეკომენდაცია I[22] | დაკორექტირდეს სასწავლო კურსების სილაბუსების სწავლის შედეგები სტანდარტების ახალი მოთხოვნების შესაბამისად და გაიწეროს აქტიური ზმნების გამოყენებით; |
| შეფასება | დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია. თვითშეფასების მტკიცებულებად წარმოდგენილია განახლებული სილაბუსები, სადაც სწავლის შედეგები ფორმულირებულია ბლუმის |

[18] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[19] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[20] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[21] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[22] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | ტაქსონომიის პრინციები. მნიშვნელოვანია ასევე აღინიშნოს, რომ სილაბუსების მოდიფიცირებას კოორდინირებას უწევდა უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სილაბუსების ავტორების აქტიური ჩართულობით. |
| რჩევა[23] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • საგანამანათლებლო პროგრამა;<br>• სასწავლო კურსის სილაბუსი;<br>• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[24] | **სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[25] | **2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი** |
| რეკომენდაცია I[26] | პროგრამის სტრუქტურა დასახვეწია: სავალდებულო საგნების ცხრილი დასაყოფია მოდულების და სემესტრების (გაზაფხული/შემოდგომა) მიხედვით; ასევე მნიშვნელოვანია ცალკეული სასწავლო კურსის კრედიტმოცულობის შესაბამისი საათობრივი მონაცემების განაწილება დამოუკიდებელ და სააუდიტორიო წილების შესაბამისად; წინაპირობებისა და საგნების დასახელების ველები გადასანაცვლებელია |
| შეფასება | დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია.<br>რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს დანართის სახით ახლავს სემესტრული გეგმა, რომელიც მოიცავს დეტალურ ინფორმაციას შეთავაზებული საგნების, ცალკეული საგნებისთვის დათმობილი საკონტაქტო საათების, შინაარსობრივად დალაგებული ბლოკების, წინაპირობებისა და სემესტრებზე მათი განაწილების |

[23] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[24] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[25] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[26] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | შესახებ. პროგრამის სტრუქტურა შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. |
| რჩევა[27] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • საგანამანათლებლო პროგრამა;<br>• შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის ჩატარებისა და შეფასების წესი;<br>• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[28] | **სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[29] | **2.3. სასწავლო კურსი** |
| რეკომენდაცია I[30] | რეკომენდირებულია ინგლისური ენის სწავლება დაიწყოს B1 დონით, რათა სტუდენტებს მიეცეს შესაძლებლობა, ბოლო ეტაპზე გაიარონ დარგობრივი ინგლისური ენა, რაც უფრო რელევანტურია ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო პროგრამისთვის; |
| შეფასება | დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია. ინგლისური ენის სწავლება პროგრამაში იწყება B1 დონიდან. ინგლისური ენის მოდულში შეთავაზებულია ასევე დარგობრივი ინგლისური ენის პრაქტიკული კურსი. |
| რჩევა[31] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • საგანამანათლებლო პროგრამა;<br>• პროგრამის სასწავლო გეგმა;<br>• სილაბუსები;<br>• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში |

---

[27] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[28] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[29] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[30] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[31] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[32] | **სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[33] | **2.3. სასწავლო კურსი** |
| რეკომენდაცია I[34] | ცალკეული სასწავლო კურსები საჭიროებს ლიტერატურის გადახალისებას: შუა საუკუნეების ისტორია - სავალდებულო საგნების ჩამონათვალს დაემატოს ბოლო პერიოდში გამოსული შესაბამისი ლიტერატურა, კერძოდ, „დასავლეთ ევროპის ისტორია (XVI საუკუნე)" (რედ. მ. პაპაშვილი) |
| შეფასება | დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია. კერძოდ, განახლდა ისტორიის მოდულში შემავალი კურსების ფარგლებში შეთავაზებული ლიტერატურის ჩამონათვალი. გამოყენებულია ახალი პროფესიული და სამეცნიერო გამოცემები. |
| რჩევა[35] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • საგანამანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსი;<br>• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[36] | **სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა** |
| კომპონენტის დასახელება[37] | **2.3. სასწავლო კურსი** |
| რეკომენდაცია I[38] | დაკორექტირდეს ინგლისური ენის სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები; |

---

[32] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[33] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[34] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[35] საგანმანათლებლო პროგრამების  აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[36] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[37] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[38] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| შეფასება | დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია. კერძოდ, განახლდა ინგლისური ენის პრაქტიკული კურსების მიზნები და სწავლის შედეგები. მიზნებისა და სწავლის შედეგების ანალიზის შედეგად დგინდება, რომ ის მეტად ორიენტირებულია ენობრივი საშუალებებისა და ძირითადი ენობრივი კომეპტენციების (წერა, ლაპარაკი, მოსმენა) განვითარებისკენ. სწავლების მეთოდოლოგია მეტად თანამედროვეა. აღნიშნული სამუშაო განხორციელებულია უნივერსიტეტის ენების ცენტრის მიერ, რომელიც ახორციელებს აღნიშნული მოდულის სწავლებას. |
| რჩევა[39] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • საგანამანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსი;<br>• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[40] | **4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა** |
| კომპონენტის დასახელება[41] | **4.4. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა** |
| რეკომენდაცია I[42] | რეკომენდირებულია პროგრამის ბიუჯეტი წარმოდგენილ იქნას დეტალურად, რაც საშუალებას იძლევა განისაზღვროს პროგრამის ფინანსური მდგრადობა; |
| შეფასება | დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია. მტკიცებულებად წარმოდგენილია როგორც ფაკულტეტის, ასევე პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. ბიუჯეტი დეტალურად ასახავს შემოსავლებს და ყველა აუცილებელ ხარჯებს.<br>აღნიშნული ბიუჯეტის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ პროგრამის ხარჯები სუბსიდირებულია ფაკულტეტის ბიუჯეტიდან. ფაკულტეტის საერთო ბიუჯეტიდან ფინანსდება სასწავლო და სამეცნიერო |

39 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

40 სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

41 კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით

42 საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | ხარჯები, რაც მოიაზრებს ასევე პროგრამაში ჩართული პერსონალის პროფესიულ განვითარებასაც. |
| რჩევა[43] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • საგანამანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსი;<br>• რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში |

| | |
|---|---|
| სტანდარტის დასახელება[44] | **5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები** |
| კომპონენტის დასახელება[45] | **5.1. შიდა ხარისხის შეფასება** |
| რეკომენდაცია I[46] | დაიხვეწოს საგანმანათლებლო პროგრამის წარსადგენი დოკუმენტების (პროგრამის სასწავლო გეგმის, სილაბუსი) ფორმალური მხარე (მათში გაიწეროს ყველა მნიშვნელოვანი რუბრიკა) და პორტფოლიო |
| შეფასება | დაწესებულებამ სრულად გაითვალისწინა რეკომენდაცია. მტკიცებულად წარმოდგენილია სასწავლო კურსის სილაბუსები, რომლებშიც დეტალურად არის აღწერილი ცალკეული კურსის სწავლის შედეგები, ლექცია-სემინარების გეგმა კვირეების მიხედვით, კვირეების მიხედვით საკითხავი მასალა, შეფასების კომპონენტები დ რუბრიკები. როგორც რეკომენდაციების შესრულების თაობაზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიშში ვკითხულობთ, აღნიშნული რეკომენდაციის საფუძველზე დაწესებულებამ შეიმუშავა სილაბუსის ფორმა ყველა ზემოთ ჩამოთვილილი მოთხოვნით. დაწესებულება ეტაპოვრივად გეგმავს ყველა პროგრამის სილაბუსის განახლებას აღნიშნული ფორმის საფუძველზე. |
| რჩევა[47] I | |
| შეფასება | |
| მტკიცებულებ(ები)ა | • საგანამანათლებლო პროგრამა;<br>• სილაბუსი; |

[43] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)
[44] სტანდარტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[45] კომპონენტის დასახელება ნუმერაციის მითითებით
[46] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რეკომენდაცია გადმოიტანეთ უცვლელად)
[47] საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილებიდან ამონაწერი (რჩევა გადმოიტანეთ უცვლელად)

| | |
|---|---|
| | • რეკომენდაციების შესრულების თაობაზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ანგარიში |

**თანდართული დოკუმენტაცია**[48]

- საგანმანათლებლო პროგრამა -20 გვერდი;
- სასწავლო კურსების სილაბუსები - ჯამში 242 გვერდი
- პროგრამის დანართები - 20 გვერდი;
- პროგრამის ბიუჯეტი - ჯამში 4 გვერდი

*ექსპერტის ხელმოწერა*



[48] თითოეული დოკუმენტის დასახელება და ფურცლების რაოდენობა